პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 188 (3165)

27 სექტემბერი. 1966 წ. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

## რუსთაველისადმი მიძღვნილი

26 სექტემბერი შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს მეორე დღეა. იგი დაიწყო სსრ კავშირის მწერალთა კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობათა საიუბილეო პლენუმით, რომელიც რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა.

დარბაზში შეიკრიბნენ მწერლები ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან, მეცნიერები, უცხოელი სტუმრები, სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

პრეზიდიუმში შემოდიან ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, ო. ი. ლოლაშვილი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივნები და წევრები, საქართველოს მწერლები და მეცნიერები, ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები, სტუმრები მოკავშირე რესპუბლიკებიდან, მინისტრები...

პლენუმს მოკლე შესავალი სიტყვით ხსნის სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივანი გ. მარკოვი. შემდეგ იგი სიტყვას აძლევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. პ. მჟავანაძეს, რომელსაც გულთბილად ხვდებიან. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით იგი მადლობას უხდის დამსწრეთ და ჩამოსულ სტუმრებს დღესასწაულში მონაწილეობისთვის და ულოცავს შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის სახელოვან იუბილეს.

სიტყვა მოხსენებისათვის თემაზე „შოთა რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში" ეძლევა რუსთაველის საკავშირო საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარეს, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანს ნ. ტიხონოვს.

შემდეგ გამოდიან საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ბ. ჟღენტი, უკრაინელი მწერალი ო. გონჩარი, ბელორუსიელი მწერალი პ. ბროვკა.

გუშინ საღამოს პლენუმი მუშაობას განაგრძობდა.



დორტმუნდში ახლახან დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატში ბრწყინვალედ იასპარეზა ლენინგრადელმა სტუდენტმა, 17 წლის ნატაშა კუჩინსკაიამ. ამ საოცრად ნატიფმა ტანმოვარჯიშემ მრავალჭიდში ვერცხლის მედალი მოიხვეჭა, ხოლო კვირას, ცალკეულ იარაღებზე შეჯიბრებისას, პირდაპირ ოქროს მოსავალი მოიმკო: ყველას აჯობა ორძელზე, დვირზე და თავისუფალ ვარჯიშში. ეს იყო ამ შესანიშნავი გოგონას ნამდვილი ტრიუმფი!

ს უ რ ა თ ზ ე: ნ. კუჩინსკაია დვირზე ვარჯიშისას.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

ჩემპიონატის ტექნიკური შედეგები იხ. მე-3 გვ.

### სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

## მინიმუმი, მხოლოდ მინიმუმი...

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 26 სექტემბერი.

„დინამო" (თბილისი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 1:0 (1:0).

„დინამო": ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჰელიძე, შერგელაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, ილიადი, დათუნაშვილი, მეტრეველი, იამანიძე, მესხი.

„კრილია სოვეტოვი": აგურეევი, მაიოროვი, სახაროვი, კაპხინი, ვალკოვი, საველიევი, პეტროვი, ვერბოვსკი, ჟუკოვი, ფიოდოროვი, მანშინი (კადიროვი).

მსაჯი ვ. ხოდინი (მინსკი).

დუბლიორები — 1:1.

ქულები... ქულები... ეს ციფრი „2" ყოველ მატჩში თბილისის „დინამოს" საერთო აქტივისთვის ახლა უკიდურეს საჭიროებას წარმოადგენს, ვინაიდან გუნდი 26 სექტემბრის ტურისთვის გათამაშების ცხრილის მეორე ნახევარში იმყოფებოდა, სეზონის ბოლომდე კი არც ისე ბევრი დრო დარჩა, რომ შორეული მომავლის იმედით ვიყოთ. ქულათა მარაგის შევსება საჭიროა ახლავე, მით უმეტეს, საკუთარ მინდორზე.

ეს 2 ქულა გუშინდელ მატჩში აღებულ იქნა და ამით გეგმის ძირითადი ნაწილი შესრულდა კიდეც, მაგრამ დინამოელთა გულშემატკივრებს მცირე ხინჯი მაინც დარჩათ გულში: თამაშის მოგება შეიძლებოდა გაცილებით უფრო იოლად, უფრო დამაჯერებლად, ბურთების უკეთესი ბალანსით.

სასაყვედურო ბევრი არაფერი გვაქვს. ჩვენი გუნდი „კრილია სოვეტოვთან" თამაშობდა ძალიან ძლიერად, თავისი საუკეთესო ტრადიციების დონეზე. ყველა რგოლი, თითქმის ყოველი მოთამაშე გამოიყურებოდა მობილურად, სრულ საბრძოლო ფორმაში და სწორედ ამიტომაა გულდასაწყვეტი, რომ მატჩის ბოლო 5 წუთში შეიქმნა საშიშროება ხელიდან გამოგვცლოდა მთლიანი, აბსოლუტური უპირატესობის შედეგად მოპოვებული 2 ქულა.

თბილისელებმა თავიდანვე „საქმიანად" დაიწყეს თამაში. უკვე მე-2 წუთზე განხორციელდა შეტევა მარჯვენა ფლანგიდან: მეტრეველმა საჯარიმო მოედნის კიდეში გაიყვანა გ. სიჭინავა, ამ უკანასკნელმა მიაწოდა კარის წინ, სადაც ტანმომცრო მეკარე აგურეევი წამით შეფერხდა. რა თქმა უნდა, ეს შეფერხება სრულიად საკმარისი აღმოჩნდა დათუნაშვილისთვის, რომელიც არც ერთ მეკარეს არ აპატიებს ამგვარ შეცდომას. იგი თავის „საშტატო ადგილზე" აღმოჩნდა გოლის გასატან პოზიციაში და ბურთის გატანაც არ გასჭირვებია — 1:0.

მართალია, მომდევნო წუთებში სტუმრებმა (პეტროვი, მანშინი) ორი სახიფათო გარღვევა შეასრულეს, მაგრამ სულ მალე იმავე დათუნაშვილმა თავით ძელს მოახვედრა ბურთი და შეიქმნა „არარატთან" მიღწეული ანგარიშის გამეორების რეალური პერსპექტივა. „დინამო" უტევდა გამუდმებით, სწრაფად, შეუნელებელ ტემპში. სტუმართა ყოველი ცდა — შეექმნათ კონტრიერიშები, იფუშებოდა საჯარიმო მოედნამდევე. ზუსტად თამაშობდნენ ბ. სიჭინავა და ცხოვრებოვი, საერთო ანსამბლს კარგად უვლიდა შერგელაშვილი, გ. სიჭინავას სრული შესაძლებლობა ჰქონდა შეტევის მუდმივი მონაწილე ყოფილიყო და ისიც მაქსიმალურად იყენებდა მას.

28-ე წუთზე მესხმა და მეტრეველმა ზედიზედ ორჯერ მოახვედრეს ბურთი ძელს, შემდეგ დათუნაშვილმა იჩქარა და 5 მეტრის მანძილიდან ააცილა მიზანს.

მაინც, ეს ყველაფერი ბურთის უწყინარ გათამაშებას ჰგავდა იმ მძლავრ შტურმთან შედარებით, რომელიც დინამოელებმა ჩაატარეს პირველი 25 წუთის მანძილზე შესვენების შემდეგ. ამ დროს „კრილია სოვეტოვის" ვერც ერთ თავდამსხმელს ვერ ნახავდით თავის საჯარიმო მოედანს რომ რამდენადმე მაინც დაშორებოდეს. წინ მათ საქმე არა ჰქონდათ, ვინაიდან საჭირო იყო მთელი ძალების მობილიზება დაცვის დასახმარებლად. ძელმა ერთხელ კიდევ გაუწია დაუფასებელი სამსახური კუიბიშეველებს მესხის უძლიერესი დარტყმის შემდეგ. დინამოელები, მათ შორის, მცველებიც, განუწყვეტლივ ბომბავდნენ მოწინააღმდეგის კარს, მაგრამ გოლის გატანა ამ დღეს არც ერთ მათგანს აღარ ეწერა.

მხოლოდ მატჩის დასასრულს ამოისუნთქეს ოდნავ სტუმრებმა და აიძულეს ურუშაძე ჩაბმულიყო თამაშში.

თბილისის „დინამო" მხოლოდ მინიმალურ ანგარიშს დასჯერდა, თუმცა თავისი გუშინდელი თამაშით იგი გაცილებით მეტის ღირსი იყო.

გ. ქორქია.

### გათამაშების ცხრილი

„ა" კლასი I ჯგუფი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 27 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 27 | 18 | 8 | 1 | 53—12 | 44 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 28 | 14 | 7 | 7 | 45—27 | 35 |
| ცსკა | 24 | 14 | 6 | 4 | 52—30 | 34 |
| ასკა (როსტოვი) | 27 | 15 | 3 | 9 | 42—38 | 33 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 27 | 12 | 7 | 8 | 38—28 | 31 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 25 | 8 | 13 | 4 | 24—17 | 29 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 24 | 11 | 7 | 6 | 38—28 | 29 |
| „დინამო" (მინსკი) | 27 | 10 | 9 | 8 | 32—29 | 29 |
| „დინამო" (თბილისი) | 26 | 9 | 9 | 8 | 32—25 | 27 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 25 | 10 | 7 | 8 | 24—24 | 27 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 26 | 9 | 8 | 9 | 35—29 | 26 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 26 | 11 | 4 | 11 | 26—30 | 26 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 28 | 10 | 5 | 13 | 32—44 | 25 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 26 | 6 | 10 | 10 | 23—30 | 22 |
| „არარატი" (ერევანი) | 26 | 6 | 8 | 12 | 18—41 | 20 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 27 | 7 | 5 | 15 | 33—49 | 19 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 26 | 3 | 11 | 12 | 17—36 | 17 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 26 | 5 | 4 | 17 | 19—38 | 14 |
| ასკა (ოდესა) | 27 | 1 | 9 | 17 | 12—40 | 11 |

* * *

„დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი) 0:0.

„ნეფტიანიკი" — „ზენიტი" 3:0.

„კაირატი" — ასკ (როსტოვი) 1:1.

„შახტიორი" — „ლოკომოტივი" 1:0.

ასკ (ოდესა) — „დინამო" (მინსკი) 1:1.

## კიდევ 1 ქულა

ტაშკენტი. „პახტაკორის" სტადიონი. 26 სექტემბერი.

„პახტაკორი" (ტაშკენტი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 0:0.

„პახტაკორი": ლიუბარცევი, ინოიატოვი, შტერნი, იუნუსოვი, სუინოვი, ხოლოხო, რახმატულაევი, ტაჯიროვი, იბრაჰიმოვი (ბექთაშევი), კრასნიცკი, აბდურაიმოვი.

„ტორპედო": ანდღულაძე, ძოძუაშვილი, წიწწივაძე, სიამაშვილი, ზარია, კუტივაძე, ასიტაშვილი, ხაჟალია, ერქომაიშვილი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი ე. ჰიარმსი (ტალინი).

დუბლიორები — 2:2.

## ექვსი მატჩი

„ა" კლასი II ჯგუფი

24 სექტემბერს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა „ა" კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფის ოსტატთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი მატჩები: „ყუბანი" (კრასნოდარი) — „დინამო" (კიროვაბადი) 0:1, „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „დინამო" (სტავროპოლი) 1:0, „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „დაუგავა" (რიგა) 0:0, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) 5:0, „ბალტიკა" (კალინინგრადი) — „სპარტაკი" (გომელი) 1:0, „დინამო" (ტალინი) — „რუბინი" (ყაზანი) 0:1.

## მოჭადრაკეთა დიდ ფორუმზე

მოსკოვი, 26 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაიწყო ჩვენი ქვეყნის გუნდური პირველობა ჭადრაკში სპორტულ საზოგადოებათა გუნდებს შორის. თვითეულ კოლექტივში 12 მოჭადრაკეა.

დღეისთვის, 2 ტურის შემდეგ, დაწინაურდნენ: „სპარტაკი" — 19 ქულა და 1 გადადებული პარტია, „ტრუდი" — 16,5 (3), ცსკა — 15 (1) და „ბურევესტნიკი" — 14,5 (2).

„ბურევესტნიკის" გუნდში გამოდიან საქართველოს მოჭადრაკეებიც: მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი და საქართველოს ჩემპიონი ც. კახაბრიშვილი. I ტურში (მოლდაველებთან) ჩვენმა მოჭადრაკეებმა თავიანთ გუნდს 2 ქულა მისცეს. II ტურში („ტრუდთან") ნ. გაფრინდაშვილი შეხვდა ა. კუშნირს, ხოლო ც. კახაბრიშვილი — თ. კისლოვას. ორივე პარტია დაუმთავრებელი დარჩა. მსოფლიო ჩემპიონს ზედმეტი პაიკი და მოსაგები პოზიცია აქვს, ხოლო კახაბრიშვილს პაიკი აკლია.

ყოველი გუნდის პირველ დაფაზე თამაშობს რომელიმე ცნობილი დიდოსტატი. ამიტომ მათი შეხვედრები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. მაგალითად, მ. ბოტვინიკმა („ტრუდი") მოუგო ვ. სმისლოვს („ბურევესტნიკი"), ე. გელერმა (ცსკა). — ლ. შტეინს („ავანგარდი"). ტ. პეტროსიანმა („სპარტაკი") ყაიმით დაამთავრა შეხვედრები პ. კერესთან („კალევი") და ბ. სპასკისთან („ლოკომოტივი").

### საათი!

◆ ს ო ფ ი ა, 26 სექტემბერი. ბულგარეთის ველორბოლის X ეტაპი მოიგო იტალიელმა მარკეზიმ — 5:09.55 (ბონიფიკაციის ჩათვლით). ფინიშზე II იყო საბჭოთა ველოსიპედისტი ა. კულიბინი — 5:10.28. ეს ეტაპი ქალაქებს რუსესა და გაბროვოს შორის გაიჭიმა და მარშრუტის შეცვლის გამო 185 კილომეტრამდე გაგრძელდა, რამაც რბოლა გაართულა. იმათ შორის, ვინც ვერ გაუძლო ბრძოლის დაძაბულობას, იყო ცნობილი ჩეხოსლოვაკიელი ველოსიპედისტი ი. სმოლიკი. 10 ეტაპის შემდეგ კვლავ ლიდერობს ბულგარეთის გუნდი — 105:18.18. II ადგილზე არიან საბჭოთა სპორტსმენები — 105:40.18, III — გდრ-ის ველოსიპედისტები — 105:52.06. პირად ჩათვლაში წინაა ბულგარელი ბობეკოვი — 34:34.23. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო — ლიეპაელი ნ. ფადეევი X ადგილზეა (34:46.19).

◆ ბუდაპეშტი, 26 სექტემბერი. დოსააფის გუნდის გამარჯვებით დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების არმიების ხელშემწყობი საზოგადოებების მსროლელთა შეჯიბრება. საბჭოთა სპორტსმენებს 44 ქულა აქვთ. 13 ქულით ნაკლები მოაგროვეს უნგრეთის პატრიოტული საზოგადოების მსროლელებმა. მომდევნო ადგილებზე არიან: ჩეხოსლოვაკია — 26, გდრ — 25, ბულგარეთი — 6 ქულა.

◆ კამბერი, 26 სექტემბერი. საფრანგეთის ამ ქალაქში 2 კილომეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდის მოხსნა სცადა მ. ჟაზიმ. ცდა ამაო გამოდგა, მაგრამ ჟაზიმ მაინც ძალიან კარგი დრო აჩვენა — 4.58,4, რაც მ. ნორპორტის (გფრ) მსოფლიო რეკორდს 0,6 წამით ჩამორჩება.

# რევანში მეტოქის სტადიონზე

2000 ქულის უპირატესობით

ქ. შახტის სტადიონზე ივლისში გაიმართა ტექნიკუმებს საკავშირო შეჯიბრება მძლეოსნობაში, სადაც გამარჯვება მოიპოვეს კალინინგრადის საზოგადოებრივი კვების ტექნიკუმის სპორტსმენებმა. მაშინ თბილისის მანქანათმშენებელი ტექნიკუმის ათლეტები გამარჯვებულთ მხოლოდ 147 ქულით ჩამორჩნენ.

მას შემდეგ სულ რაღაც ორმა თვემ გაიარა და მეტოქენი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, ამჯერად, სწორედ კალინინგრადში. 17-22 სექტემბერს იქ 4 ტექნიკუმის — მასპინძლების, თბილისელების, სოვეტსკის კინოს ტექნიკუმისა და გროდნოს მანქანათმშენებელი ტექნიკუმის სპორტსმენთა სამატჩო შეხვედრები მიმდინარეობდა. აღნიშნული კვარტეტის გარდა, მძლეოსანთა ასპარეზობაში ძალებს ცდიდნენ პოლონელი ჭაბუკებიც.

ამინდი უხეირო იყო, — ციოდა, მაგრამ თბილისელებმა მაინც შეძლეს რევანშის აღება. მათ 2000 ქულით აჯობეს მასპინძლებს და პირველობა მოიპოვეს.

პირად ტურნირში კარგად გამოვიდნენ თბილისელები: ზ. სარქისიანი (I იყო 100 მეტრზე — 10,8 და 400 მეტრზე — 49,8 — რბენაში), რ. ჯიოევი (მოიგო სიმაღლეზე ხტომა — 180 სმ), ვ. ოგანესიანცი (ყველას აჯობა სიგრძეზე ხტომაში — 654 სმ). თბილისის კვარტეტმა მოიგო ესტაფეტა 4×100 მ — 45,4. ვ. ტარანმა და ნ. აბრამიშვილმა თავი ისახელეს ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაში. ტარანი ორივე სახეობაში I ადგილზე გავიდა, ხოლო აბრამიშვილი — საპრიზო ადგილებზე.

მატჩში თბილისელმა ველოსიპედისტებმაც I ადგილი დაიკავეს.

ვ. ბუკინი.

# ფიქრები სატურნირო ცხრილთან

## დამთავრდა „განთიადის" სპარტაკიადა

შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილ „განთიადის" სპარტაკიადის შტაბში „საბუღალტრო" საქმიანობას ამთავრებდა მთავარი მდივანი შ. საგარეიშვილი. აი, ფეხბურთელთა ტურნირის შედეგებიც მოიტანეს. ამ სახეობაში ჩემპიონი გახდა მანქანათმშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის ნაკრები, რომელმაც ფინალში პირდაპირ შავი დღე აყარა (8:1) ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის კოლექტივს. III ადგილისთვის ბრძოლაში ფეიქრებმა სძლიეს ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის გუნდს — 3:0.

როცა საგარეიშვილმა საქმე მოათავა, სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა ტ. კიკნაველიძემ საბოლოო შედეგები გამოაცხადა: კომპლექსურ ჩათვლაში 79 ქულით გამარჯვება მოიპოვა ელექტრომრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის კოლექტივმა. II ადგილზეა მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის გუნდი — 73 ქულა, ხოლო III — მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის სპორტსმენები — 63 ქულა.

აღსანიშნავია, რომ მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის პროფკავშირის წარმომადგენლებს შეეძლოთ ჩემპიონობის მოპოვება. მაგრამ ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის სპორტსმენები სპარტაკიადაში ვერ გამოვიდნენ, რამაც, ცხადია, შეასუსტა ფეიქართა ძალები.

თუ თვალს გადავავლებთ სპარტაკიადის მსვლელობის ცხრილს, ვნახავთ, რომ კალათბურთში ქალთა გუნდების გამოყვანა „დაავიწყდათ" მანქანათმშენებლობისა და ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირებს. კიდევ უფრო მეტი „გულმავიწყობა" გამოიჩინეს მშენებლობის მუშაკთა და კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირებმა: ქალებს მათ ვაჟებიც „მიაყოლეს"...

უკეთესი მდგომარეობა იყო ფრენბურთში. აქ მხოლოდ მშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის ქალთა გუნდი არ ჩანდა. მძლეოსნობაში გუნდები ვერ წარმოადგინეს ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობისა და მშენებლობის მუშაკთა პროფკავშირებმა. ქართული ჭიდაობის სარბიელზე არ გამოსულან ქვანახშირის მრეწველობისა და ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების ათლეტები.

სპარტაკიადის მსვლელობაში მოხდა ე. წ. „განსაკუთრებული შემთხვევებიც" — 1030 მონაწილეს შორის აღმოჩნდნენ წესრიგის დამრღვევნი. მაგალითად, თბილისის ელმავალსაშენი ქარხნის ფიზკულტურის ინსტრუქტორს კ. ბაღდასაროვს, რომელიც ელექტრომრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის კალათბურთელთა წარმომადგენლის მოვალეობას ასრულებდა, როგორც ჩანს, მსაჯთა კოლეგიის საქმიანობა არ მოეწონა და მისი ლანძღვა დაიწყო სახალხოდ. წესრიგის დარღვევისთვის იგი წარმომადგენლობიდან გადააყენეს, ხოლო გუნდს წაგება ჩაუთვალეს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თბილისის ელმავალსაშენ ქარხანაში და ელექტრომრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტში სათანადოდ იმსჯელებენ ბაღდასაროვის უღირსი საქციელის თაობაზე.

ცნობილია, რომ ფეხბურთელები კაპიტნობას ყველაზე წესიერ და სამაგალითო მოთამაშეს ანდობენ. მაგრამ, სამწუხაროდ, კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ფეხბურთელები შეცდნენ, როცა გუნდის მეთაურობა გორის საკონსერვო ქარხნის მუშას კ. თურაზაშვილს დააკისრეს. გინებისთვის იგი მინდვრიდან გააძევეს და შემდეგ შეჯიბრებიდანაც მოხსნეს. უხეშობისთვის მინდვრიდან იქნენ გაძევებულნი გ. ჩაჩანიძე (ელექტრომრეწველობის მუშაკთა პროფკავშირი) და გ. სალაღიშვილი (მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირი).

წესრიგის დარღვევის ამ რამდენიმე ფაქტის მიუხედავად, სპარტაკიადა ორგანიზებულად ჩატარდა. მან დაადასტურა ფიზკულტურული კოლექტივების აქტიურობა. ახლა საჭიროა მისი შენარჩუნება, რათა „განთიადის" ფიზკულტურული ორგანიზაციები ღირსეულად შეხვდნენ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადას.

ვ. ბუკია.

## მოლაშქრეები ასპარეზობენ

საქართველოს ალკკ ზესტაფონის რაიკომისა და პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ინიციატივით ამას წინათ მოეწყო მასობრივი ლაშქრობა მაყვლარიანის ყველაზე მაღალ მთაზე. ლაშქრობა მიეძღვნა დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. ლაშქრობაში მონაწილეობდა რაიონის 14 საშუალო და 8-წლიანი სკოლის 500-ზე მეტი ნორჩი ტურისტი.

მწვერვალის დაპყრობის შემდეგ მოლაშქრეებმა დაისვენეს, მერე კი სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამართეს შეჯიბრება.

ბოლოს მოლაშქრეებმა დაათვალიერეს XVI საუკუნის ისტორიული ძეგლი — სოფელ ტაბაკინის მონასტერი.

ა. ბანუზრაავა.
(ჩვენი კორ.).

ზესტაფონი.



სარატოვი (ჩვენი სპეც. კორ.). „დინამოს" სამბისტთა საკავშირო პირად-გუნდურ პირველობაში მონაწილეობდნენ მოძმე რესპუბლიკების, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის ათლეტები. საქართველოს წარმომადგენლებმა წარმატებით განვლეს ტურნირის პირველი ეტაპი და მეოთხედფინალში 7 მონაწილით გავიდნენ. ასეთივე მაჩვენებლით დაამთავრა თავის ქვეჯგუფში შეხვედრები რუსეთის ფედერაციის გუნდმა. შარშანდელი ჩემპიონი — მოსკოვის ნაკრები მეოთხედფინალში 6 ათლეტით წარსდგა.

მეოთხედფინალურმა შეხვედრებმა ცხადყო საქართველოს სამბისტთა მაღალი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება. ნახევარფინალში 6 ჩვენი ათლეტი მოხვდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს გუნდმა ფაქტიურად ტურნირის დამთავრებამდე გაინაღდა I ადგილი. ასეც მოხდა!

# ასეც მოხდა!

## საქართველოს „დინამოს" სამბისტთა წარმატება

II საპრიზო ადგილი წილად ხვდათ რსფსრ-ს წარმომადგენლებს, ხოლო III — მოსკოვის გუნდს.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ხ. რუზიკულოვმა (უზბეკეთი), ვ. კარელინმა (მოსკოვი), ა. მარტყოფლიშვილმა, (საქართველო), დ. რუდმანმა (რსფსრ), მ. გოგავამ (საქართველო), გ. ფილატოვმა, ს. კახოევმა (ორივენი — რსფსრ), ა. კიკნაძემ (საქართველო).

II საპრიზო ადგილი დაიკავა გ. ნონიკაშვილმა, ხოლო III — ბ. ქიქიაშვილმა და გ. გამილაღდიშვილმა. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, ჩვენი გუნდის სხვა წევრებმაც: თ. ხოსიტაშვილმა, ზ. სახვაძემ, ვ. ქევხიშვილმა, თ. ასანიძემ.

* * *

სურათზე: „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი—საქართველოს სამბისტთა გუნდი. პირველ რიგში (მარცხნიდან) — შ. გულიაშვილი, გ. ნონიკაშვილი, ზ. სახვაძე, თ. ასანიძე; მეორე რიგში — გუნდის მწვრთნელები ქ. ნინიაშვილი და ბ. მაზიაშვილი, მ. გოგავა, ა. მარტყოფლიშვილი, ბ. ქიქიაშვილი, თ. ხოსიტაშვილი.

ფოტო გ. გაბუნიასი.

# დაწინაურდნენ უმცროსები

თბილისის უძლიერესი ოსტატობის კანდიდატთა საჭადრაკო ტურნირის II ტურში ყურადღების ცენტრში იყო შეჯიბრების ყველაზე უმცროსი მონაწილეების—16 წლის ე. უბილავასა და ს. ჩეჩელიანის შეხვედრა. თეთრებმა (უბილავა) გარკვეულ უპირატესობას მიაღწიეს, მაგრამ მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდნენ და პარტია ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ, აგრეთვე, ჰ. არნშტეინი — ო. ელიოზიშვილი და ზ. მიქაძე — გ. ციხელაშვილი. ე. მიქაელიანმა მოუგო ს. მეგრელიშვილს.

III ტურიდან ბრძოლაში ჩაება გ. მაჭავარიანი (ცხრილში იგი მეთორმეტეა) და ყაიმით დასრულა შეხვედრა მიქაელიანთან. მეგრელიშვილი დამარცხდა ჩეჩელიანთან, არნშტეინი — ციხელაშვილთან. ა. კირვალიძემ ლამაზი საფინალო იერიშით მოუგო ელიოზიშვილს.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. უბილავას ზედმეტი პაიკი და მოგების შანსი აქვს ლ. კერნოჟიცკისთან.

3 ტურის შემდეგ ჩეჩელიანს 2,5 ქულა აქვს, უბილავას — 1,5 და 1 გადადებული პარტია, მიქაელიანს, ელიოზიშვილსა და ციხელაშვილს — 1,5-1,5 ქულა.

# სპარტაზეა იმედი

ოდესა, 26 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გუშინ აქ დამთავრდა ევროპის იუნიორთა I ჩემპიონატი მძლეოსნობაში. ტურნირში წარმატებით გამოვიდნენ მასპინძლები — სსრ კავშირის სპორტსმენები, რომლებმაც ოქროს 11, ვერცხლის 7 და ბრინჯაოს 5 მედალი დაისაკუთრეს. მათგან განსაკუთრებით ისახელეს თავი: ქალთა ბირთვის კვრაში — მოსკოველმა ლ. კოსტიჩენკომ — 14,25, სიგრძეზე ხტომაში — თ. კაპიშევამ (ლენინგრადი) — 598 სმ. ათჭიდში ვ. ჩელნოკოვმა 7225 ქულა მოაგროვა, ჩემპიონობა მოიპოვა და სპორტის ოსტატის ნორმაც შეასრულა. სპორტულ სიარულში ყველას აჯობეს მ. ეფიმოვიჩმა და ა. პოპოვმა, 400 მეტრზე რბენა იუნიორებისათვის მაღალი შედეგით (47,3) მოიგო მოსკოველმა ა. ბრიატჩიკოვმა.

მაგრამ ვალში არც სტუმრები დარჩენილან. ევროპის ამასწინანდელ ჩემპიონატში (ბუდაპეშტში) თავი გამოიჩინა იუგოსლაველმა გოგონამ ვ. ნიკოლიჩმა. მაშინ მან 800 მეტრი 2 წუთსა და 2,8 წამში გაირბინა და ოქროს მედალიც დაისაკუთრა. ახლა კი თანატოლთა ტურნირში 2.03,4 აჩვენა და აქაც პირველი იყო. ჭოკით ხტომაში იმარჯვეს ფინელმა ა. კალიომიაკმა, დასავლეთგერმანელმა ჰ. ენგელმა და პოლონელმა ზ. დაბროშმა. სამივემ 460 სმ გადალახა. ცდების მიხედვით პირველობა ფინელს მიეკუთვნა. სიმაღლეზე ხტომაში ყველას აჯობა ჩეხოსლოვაკიელმა ა. პროსკოვამ* — 164 სმ, ხოლო 1500 მეტრზე წინაღობებით რბენაში — ო. კნარმა (გფრ) — 4.09,7; გდრ-ის გოგონები პირველნი იყვნენ 4×100 მეტრზე ესტაფეტაში — 46,2. ამ სახეობაში II ადგილზე გავიდა საფრანგეთი, ხოლო III — სსრ კავშირის გუნდი. ვაჟებში გაიმარჯვეს საფრანგეთის ჭაბუკებმა — 40,6. ბადროს ტყორცნა მოიგო ინგლისელმა ფ. ტიგლომ — 52,92 სმ.

იმედი ვერ გაამართლეს სპრინტერებმა. როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შედეგები მოსალოდნელზე დაბალი იყო. ქალებში გაიმარჯვა ბ. ჰაიერმა (გდრ) — 12,2, ვაჟებში — ბ. იაკობამ (გფრ) — 10,7.

ტურნირმა ცხადყო, რომ ევროპის ქვეყნების გუნდებში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა, რომლებიც მეხიკოს ოლიმპიადაში ოქროს მედლებისათვის იბრძოლებენ.

მძლეოსნობა

# ერთი საჯინიბოს ისტორია

თბილისში ცხოვრობდა ერთი მდიდარი სპარსელი კაცი, სახელად მუშტაიდი. როგორც მდიდარს შეეფერებოდა, მასაც ჰქონდა სასახლე, სასახლის წინ კი მშვენიერი ბაღი. უყვარდა მდიდარს გართობა და დროსტარება. ჰყავდა სანადირო ძაღლები და საუკეთესო ჯიშის ცხენები.

მას შემდეგ ბევრმა დრომ განვლო, ბევრმა წყალმა ჩაიარა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. მუშტაიდი და მისთანები ჩვენში დიდი ხანია აღარ არსებობენ. ყოფილ მუშტაიდის ბაღს ახლა ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ბაღი ჰქვია. იგი მთლიანად შეიცვალა. აიგო ბევრი საინტერესო ატრაქციონი. მარტო ის რად ღირს, რომ სსრ კავშირში პირველი საბავშვო რკინიგზა სწორედ ამ ბაღის ტერიტორიაზე გაიყვანეს. მოკლედ, მუშტაიდის ყოფილმა სამფლობელომ მთლიანად იცვალა სახე. უცვლელი მხოლოდ ცხენების საჯინიბო დარჩა. ჩვენც სწორედ ამ საჯინიბოზე გვინდა შევჩერდეთ.

სულხან-საბას განმარტებით, საჯინიბო არის „ცხენთ საბამი ადგილი". ასე რომ, საჯინიბო საჯინიბოა და მისი დანიშნულებაა ცხენების შეფარება.

ეს არის და ეს. მუშტაიდ ეფენდის საჯინიბოც ჩვეულებრივი საჯინიბო ყოფილა. მასში თავისუფლად თავსდებოდა 10-15 ცხენი. თუ გადმოცემას დავუჯერებთ, სპარსელს კარგი ცხენები ჰყოლია. სხვა რაღა უნდოდა ეფენდის: დროს ატარებდა, სანადიროდ დადიოდა და ხანდახან ცხენების ჭენებაში მართავდა შეჯიბრებას.

ჭენების შემდეგ ცხენები სიამოვნებით ბრუნდებოდნენ საჯინიბოში. იცოდნენ, იქ გემრიელი თივა და ქერი დახვდებოდათ. ასეც რომ არ იყოს, აბა, ღია ცის ქვეშ ხომ არ დარჩებოდნენ?

შ ე ნ ი შ ვ ნ ა:

საჯინიბო ცხენების სადგომი ადგილია და არა ფიზკულტურის დარბაზი.

ამჟამად მუშტაიდის ყოფილი საჯინიბო თბილისის მე-18 სკოლის ფიზკულტურის დარბაზად არის გამოყენებული.

თავის დროზე ცხენები, როგორც ეტყობა, კმაყოფილი ყოფილან. მაგრამ აბა, ახლა ჰკითხეთ ბავშვებს. ჩვენ ისე გუწოდებთ დარბაზს, თორემ იმ საჯინიბოში ხან წიგნების საწყობია, ხან... რენტგენის კაბინეტი. მოსწავლეები ზამთარ-ზაფხულ სკოლის ეზოში „იწვრთნებიან", მხოლოდ თავსხმა წვიმისა და დიდი თოვლის დროს თუ შეაფარებენ „დარბაზს" თავს.

ზ. ჯანიაშვილი.

# უძლიერესნი

დორტმუნდი, 25 სექტემბერი. აქ დამთავრდა მსოფლიოს XVI ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში. მოგვყავს ასპარეზობის ტექნიკური შედეგები:

ვაჟები (გუნდური)

მრავალჭიდი: 1. იაპონია — 575,15 ქულა, 2. სსრკ — 570,90, 3. გდრ — 561,00, 4. ჩეხოსლოვაკია — 551,20, 5. პოლონეთი — 550.60. 6. აშშ — 550,40.

ქალები (გუნდური)

მრავალჭიდი: 1. ჩეხოსლოვაკია — 383.625 ქულა, 2. სსრკ — 383,587, 3. იაპონია — 380,923, 4. გდრ — 377,818, 5. უნგრეთი — 373,889, 6. აშშ — 367,620.

ვაჟები (პირადი)

მრავალჭიდი: 1. ვორონინი (სსრკ) — 116,15 ქულა, 2. ცურუმი (იაპონია) — 115,25, 3. ნაკაიამა (იაპონია) — 114,95, 4. ცერარი (იუგოსლავია) — 114,75, 5. მენიკელი (იტალია) — 114,65, 6. კატო (იაპონია) — 114,60. დანარჩენი საბჭოთა სპორტსმენების მაჩვენებლები ასეთია: 11. დიომიდოვი — 113,25, 12. კერდემელიდი — 112,90, 13. ტიტოვი — 112,75, 18. შახლინი — 111,85.

ქალები (პირადი)

მრავალჭიდი: 1. ჩასლავსკა (ჩეხოსლოვაკია) — 78,298 ქულა, 2. კუჩინსკაია (სსრკ) — 78,097, 3. იკედა (იაპონია) — 76,997, 4. ცუხოლდი (გდრ) — 76,596, 5. სედლაჩკოვა (ჩეხოსლოვაკია) — 76,465, 6. პეტრიკი (სსრკ) — 76,366. დანარჩენი საბჭოთა სპორტსმენების მაჩვენებლები ასეთია: 10. დრუჟინინა — 76,164, 11. ლატინინა — 76,098, 13. ასტახოვა — 75,997, 15. ხარლოვა — 75,896.

ვაჟები (ცალკეულ იარაღებზე)

თავისუფალი ვარჯიში: 1. ნაკაიამა — 19,400 ქულა, 2. ენდო (იაპონია) — 19,375, 3. მენიკელი — 19,300.

ტაიჭი: 1. ცერარი — 19,525, 2. ვორონინი — 19,325, 3. კატო — 19,125.

რგოლები: 1. ვორონინი — 19,750, 2. ნაკაიამა — 19,500, 3. მენიკელი — 19,475.

გჯენითი ხტომები: 1. მატსუდა (იაპონია) — 19,425, 2. კატო — 19,325, 3. ნაკაიამა — 19,050.

ორძელი: 1. დიომიდოვი — 19,550, 2. ვორონინი — 19,400, 3. ცერარი — 19,350.

ძელძი: 1. ნაკაიამა — 19,675, 2. ენდო — 19,600, 3. მიცუკური (იაპონია) — 19,425.

ქალები (ცალკეულ იარაღებზე)

გჯენითი ხტომები: 1. ჩასლავსკა — 19,583, 2. ცუხოლდი — 19,399, 3. კუჩინსკაია — 19,316.

ორძელი: 1. კუჩინსკაია — 19,616, 12. იკედა — 19,566, 3. მიცუკური (იაპონია) — 19,516.

ძელი: 1. კუჩინსკაია — 19,650, 2. ჩასლავსკა — 19,333, 3. პეტრიკი — 19,250.

თავისუფალი ვარჯიში: 1. კუჩინსკაია — 19,733, 2. ჩასლავსკა — 19,683, 3. დრუჟინინა — 19,666.

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

# ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

## უჩვეულო ნადავლი

უჩვეულო ნადავლი ხვდა სპორტსმენ-აქვალანგისტ პ. კურილოვს იაპონიის ზღვაში, კუნძულ ქელტუხინთან. წყალქვეშა ნადირობაში ასპარეზობის დროს კურილოვმა 25 მეტრის სიღრმეზე მოინადირა რვაფეხა, რომელსაც ყოველი საცეცი თითო მეტრის სიგრძისა ჰქონდა.

ქროდა ჩრდილოეთის მძლავრი ქარი და შეჯიბრება, რომელიც პირველად მოეწყო რუსეთის ფედერაციაში, მეტად რთულ პირობებში ჩატარდა. ზღვის სიღრმიდან ყველაზე მეტი ნადავლით დაბრუნდნენ ადგილობრივი სპორტსმენები ი. კუროჩკინი და ა. ჩერეპანოვი, რომლებმაც გაიყვეს კიდეც I-II ადგილები.

ვლადივოსტოკი.

## აპროექტებენ სპორტის მოყვარულები

საუნივერსიტეტო ქალაქი ტარტუ, რომელიც მდინარე ემაიიგის ნაპირებზე მდებარეობს, უახლოეს წლებში საწყლოსნო სპორტის საკავშირო ცენტრი გახდება. მოეწყობა არხი, რომელიც აკადემიურ ნიჩბოსნობასა და საწყლოსნო-სამოტორო სპორტში საერთაშორისო შეჯიბრებების ჩასატარებლად გამოდგება. ნაგებობის პროექტი, რომლის ავტორია არქიტექტორი მ. პალმი, საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა.

საგანგებო მაკეტზე წარმატებით გამოცდის შემდეგ არხის სიგრძე განისაზღვრა 2200 მეტრით, სიგანე — 110, სიღრმე 3 მეტრით.

არხის პროექტი მოიწონა ტარტუს არქიტექტორთა საბჭომ. მშენებლობა წლეულს დაიწყება.

ტარტუ.

## დიდოსტატური დასაწყისი

აშკარად თავისი კერპების — ორი სახელგანთქმული მიხეილის — ბოტვინიკისა და ტალის გზით წავიდა მათი სეხნია — 14 წლის ხარკოველი მოსწავლე, კომკავშირელი მიშა შტეინბერგი. თავად განსაჯეთ: წლეულს მან მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობა ჭადრაკში თანატოლებს შორის და ოსტატობის კანდიდატის წოდებაც მიენიჭა.

ახლახან კი მიშამ პირველად მიიღო მონაწილეობა ძალიან საპასუხისმგებლო ტურნირში — სსრ კავშირის 34-ე ჩემპიონატის ნახევარფინალში, რომელიც ორიოლში ჩატარდა და სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა.

ეს თავისებური რეკორდია: 14 წლის ასაკში არც ერთ საბჭოთა მოჭადრაკეს არ მიუღწევია ესოდენ საპატიო საფეხურისთვის. მან მოუგო სამ ოსტატს, ორ ოსტატობის კანდიდატს და ყაიმით დაამთავრა შეხვედრა დიდოსტატ რ. ხოლმოვთან. ეს უკვე ოსტატის ნორმაა, ამასთან, ნახევარქულიანი „კუდით". ჭადრაკის ხელოვნებას მიშა ხარკოვის პიონერთა სასახლის წრეში დაეუფლა. მან კარგად იცის დებიუტები და „დარბაისლურ" პოზიციურ ბრძოლას ამჯობინებს.

ორიოლი.

## აქ იწრთობა ვაჟკაცობა

ამ სეზონის მანძილზე რუსეთის ფედერაციის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, უზბეკეთის და სხვა რესპუბლიკების 600-მდე ჭაბუკი და გოგონა ესტუმრია ალა-ტოოს თვალწარმტაც ხეობას, ზღვის დონიდან 2100 მეტრის სიმაღლეზე მდებარე ალპინისტურ ბანაკ „ალა-არჩას". თითქმის სამასმა ახალბედამ დაიმშვენა მკერდი „სსრ კავშირის ალპინისტის" საპატიო ნიშნით.

ტიან-შანი-მაშაცთა სპორტის სულ უფრო მეტ მოყვარულს იზიდავს. მარტო „ალა-არჩამ", შუა აზიის ამ უდიდესმა ალპინისტურმა ბანაკმა, მისი არსებობის მანძილზე თითქმის 6 ათას სპორტსმენს გაუწია მასპინძლობა.

ფრუნზე

(საკდესი).

# ჯილდოები საუკეთესოებს

30 თამაში ნაკრებში

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს ბიურომ შესანიშნავი სპორტული მიღწევებისთვის სამახსოვრო მედლებით დააჯილდოვა ა. შესტერნიოვი (ცსკა) და გ. ჰუსაინოვი („სპარტაკი", მოსკოვი), რომლებმაც 30-30 მატჩი ითამაშეს სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაში.

აღვნიშნავთ, რომ ადრე ამ მედლებით დაჯილდოებული იყვნენ ი. ვოინოვი, ვ. ივანოვი, ა. ილინი, ი. ნეტო, ლ. იაშინი, ვ. ივანოვი, მ. მესხი და ს. მეტრეველი.

სამახსოვრო ჟეტონით სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში 20 მატჩის ჩატარებისთვის დაჯილდოვდა ვ. პონომარიოვი (ცსკა), ხოლო 10 მატჩში მონაწილეობისთვის — ა. კავაზაშვილი („ტორპედო", მოსკოვი), ვ. დანილოვი („ზენიტი", ლენინგრადი), ვ. აფონინი (ასკ. როსტოვი), ი. საბო („დინამო", კიევი), ე. მალოფეევი („დინამო", მინსკი), და ა. ბანიშევსკი („ნეფტიანიკი", ბაქო).

# „ცუდი" მასპინძლები

„ბ" კლასი IV ზონა

გუშინწინ გაიმართა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის მატჩები IV ზონის გუნდებს შორის.

გათამაშების ერთ-ერთმა ლიდერმა — ტყიბულის „მეშახტემ" საკუთარ მინდორზე მიიღო გორის „დილა".

სტუმრებმა საკმაოდ აქტიურად ჩაატარეს მატჩის დასაწყისი, რომლის დროსაც „მეშახტის" დაცვას და მეკარე ძიძიგურს სრული დატვირთვით მოუხდათ თამაში. შემდგომში მასპინძლებმა გამოასწორეს მდგომარეობა და მე-40 წუთზე გაიტანეს გოლი, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა ამ მატჩში. ბურთი ასე იქნა გატანილი: ავალიანი შეიჭრა „დილის" საჯარიმო მოედანზე და პირისპირ დარჩა მეკარესთან. ამ მომენტში იგი ხელით დაიჭირეს მცველებმა. 11-მეტრიანი დარტყმა ზუსტად შეასრულა იმავე ავალიანმა — 1:0.

გურჯაანში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ალაზანი" და რუსთავის „მეტალურგი".

მატჩი უაღრესად დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. მეტალურგებს შეეძლოთ წარმატებისათვის მიეღწიათ შეხვედრის პირველ წუთებზე, როცა მათი თავდამსხმელი დავითულიანი რამდენიმეჯერ აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში. „ალაზანმა" გაუძლო ამ იერიშებს, ხოლო შემდეგ საპასუხო შეტევაზე გადავიდა. 30-ე წუთზე სტუმრების კარში დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. ზაქარეიშვილმა 25 მეტრიდან ზუსტად გაგზავნა ბურთი მეტოქის კარში — 1:0. ორიოდე წუთის შემდეგ ალაზნელთა კართან შეიქმნა სახიფათო მომენტი. დაცვაში დაშვებულ იქნა შეცდომა და რუსთაველებმა გაიტანეს საპასუხო გოლი — 1:1.

მეორე ტაიმი ძირითადად მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. მატჩის დასასრულს ბევრი არაფერი უკლდა, როცა წოწორიამ გამოიყენა მოწინააღმდეგე მეკარის შეცდომა და გაიტანა გადამწყვეტი ბურთი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა „ალაზანს" — 2:1.

მაიკოპის „უროჟაიმ" საკუთარ მინდორზე მოუგო „ენგურს" (ზუგდიდი) — 2:0, ხოლო „ურალანმა" (ელისტა) — ფოთის „კოლხიდას" — 1:0.

სტუმართაგან წარმატებას მხოლოდ სოხუმის დინამოელებმა მიაღწიეს, რომლებმაც ნოვოროსიისკში ანგარიშით 1:0 დაამარცხეს ადგილობრივი „ცემენტის" ძლიერი გუნდი.

# ქალაქი ქალაქში

● კიევი, 25 სექტემბერი. მოსკოველი გ. ალექსეევა წარმატებით გამოვიდა წყალში მხტომელთა აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში: მან მოიპოვა ოქროს მედალი 10-მეტრიანი კოშკიდან ასპარეზობაში.

● ბუდაპეშტი, 25 სექტემბერი. მეგობრული არმიების სპარტაკიადაში საბჭოთა მოკრივეებმა ოქროს 6 მედალი მოიპოვეს. ესენი არიან: ნოვიკოვი (უმჩატესი წონა), რომელმაც ქულებით დაამარცხა კიმ უნ სამი (კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა); ოლიმპიური ჩემპიონი სტეპაშკინი (ქვემსუბუქი წონა), რომელმაც პირველ რაუნდში ნოკაუტში გაისტუმრა პოლონელი გუტმანი; I ქვესაშუალო წონის ათლეტი ტრეგუბოვი (აშკარა უპირატესობით დაამარცხა პოლონელი რუდკოვსკი); ევროპის ჩემპიონი აგეევი (II საშუალო წონა) და ოლიმპიური პრიზიორი კისელიოვი (ქვემძიმე), აგრეთვე, ევროპის ჩემპიონი იზოსიმოვი, ვერცხლის მედლები მოიპოვეს შულგამ და კუროჩკინმა, ხოლო ბრინჯაოსი — ევროპის ჩემპიონმა ბარანიკოვმა. ტურნირი ძალიან ძლიერი შემადგენლობისა იყო: მასში მონაწილეობდა 4 ოლიმპიური ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონთა ნახევარი.

● დუბნა, 25 სექტემბერი. გუშინ მოსკოველმა დინამოელმა ვ. იაკუბოვსკიმ, რომელიც 101 კგ-ს იწონის, აკრა 172 კგ და იუნიორთა ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა. დღეს აქ კიდევ 3 რეკორდი განახლდა: ა. ვახონინმა მჩატე წონის ძალოსანთათვის მსოფლიოში დღემდე მიუწვდომელი სიმძიმე აკრა — 141,5 კგ. ქვესაშუალო წონის ათლეტებმა ვ. კაპლუნოვმა აჰიმა 151 კგ. ხოლო მჩატე წონის წარმომადგენელმა გ. ჩეტინმა აიტაცა 109,5 კგ. ეს შედეგები ახალი საკავშირო რეკორდებია.

● ალმა-ათა, 25 სექტემბერი. აქ გაიმართა სსრ კავშირის I ჩემპიონატი ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში. ტურნირში 58 სპორტსმენი მონაწილეობდა. ოქროს მედალი მოიპოვა გორკელმა სტუდენტმა, 18 წლის ი. ნაპალკოვმა.

● კიევი, 25 სექტემბერი. დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა ვაჟთა აკადემიურ ნიჩბოსნობაში. ორადგილიანი წყვილმოსასმელიანებით ყველას აჯობეს არმიელებმა ე. ჟდანოვიჩმა და ვ. იაგელოვიჩუსმა — 6.40,4. ერთადგილიანებით ასპარეზობა მოიგო მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, არმიელმა ვ. ივანოვმა — 7.39,6, ორადგილიანი უმესაჭოთი — ი. სუსლინმა და ა. ფიოდოროვმა (ლენინგრადის „ტრუდი") — 7.21,8, ხოლო ორადგილიანი მესაჭიანი გასაშლელით ჩემპიონები გახდნენ კიევის დინამოელები ბ. სმირნოვი და ა. მიშინი (მესაჭე ე. რუდოი) — 7.39,5. უმესაჭო ოთხადგილიანით ასპარეზობა მოიგო ვილნიუსის „ჟალგირისის" კვარტეტმა — 7.41,2, ხოლო მესაჭიანი ოთხადგილიანების ფინალური რბოლა — „სპარტაკის" კოლექტივმა — 7.01,0. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ნაკრებმა. II ადგილზეა „სპარტაკი", III — „დინამო".

● მოსკოვი, 26 სექტემბერი. დაიწყო სსრ კავშირის XXI ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში. გუშინ გაიმართა 5 მატჩი. გორკში ადგილობრივი „ტორპედო" დამარცხდა ცსკა-სთან — 1:7, ნოვოსიბირსკში „სიბირმა" მოუგო ნოვოკუზნეცკის „მეტალურგს" — 3:2, მოსკოვის „სპარტაკმა" მინსკში დაამარცხა ადგილობრივი „ტორპედო" — 13:2, ვოსკრესენსკის „ხიმიკისა" და ლენინგრადის ასკ-ს, აგრეთვე, მოსკოვისა და კიევის დინამოელთა შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით დამთავრდა — 3:3.

● ალმა-ათა, 26 სექტემბერი. გრძელდება სსრ კავშირის გუნდური პირველობა ჩოგბურთში. გუშინ „დინამომ" მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად, მან „იმსხვერპლა" „ბურევესტნიკი" — 13:4. დიდხანს გაგრძელდა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა გუნდისა და „ტრუდის" დუელი. დაბინდების გამო, როცა ანგარიში 9:9 იყო, იგი შეწყდა.

# ფეხბურთი



გუშინწინ, წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე დღეს, ბათუმის საცურაო აუზში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის უნივერსიტეტის („ბურევესტნიკი") გუნდები. ეს იყო ტურის ცენტრალური მატჩი. დაძაბული ბრძოლა მოიგეს თბილისელებმა — 4:3.

ამ დღის დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ტრუდი" (მოსკოვის ოლქი) — კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო) 4:6, „შრომითი რეზერვები" (მოსკოვი) — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო-სპორტული კლუბი (მოსკოვი) 2:5.

* * *

სურათებზე: ზემოთ — თბილისელთა მწვრთნელი ნ. გვახარია შესვენებისას არიგებს წყალბურთელებს; ქვემოთ — თბილისის დინამოელთა და მოსკოვის უნივერსიტეტელთა შეხვედრის მომენტი. მოსკოველთა კარში ბურთი ტყორცნა გ. ჩიქვანაიამ (მარცხნიდან პირველი).

ფოტო ა. ედიგაროვისა.



ფეხბურთი ფეხბურთი

# „ინტერი“ — „ტორპედოს“ მეტოქე

ამ შემოდგომით საბჭოთა ფეხბურთი პირველად იქნება წარმოდგენილი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. კენჭისყრით, მოსკოვის „ტორპედოს“ მეტოქე იტალიის ჩემპიონი მილანის „ინტერნაციონალე“ იქნება. ეს გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან ორჯერ — 28 სექტემბერს მილანში, 12 ოქტომბერს — მოსკოვში.

იტალიის ფეხბურთის მთავარი ძალები ამ ქვეყნის ჩრდილოეთშია თავმოყრილი. ომისშემდგომ წლებში მილანი და ტურინი არ თმობენ იტალიის ჩემპიონის სახელს. გასულ გაზაფხულს ეს წოდება მოიპოვა მილანის კლუბმა „ინტერნაციონალემ“, ან როგორც მას რეპორტიორები უწოდებენ, „ინტერმა“. ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე „ინტერი“ არისტოკრატიულ დაწესებულებად ითვლებოდა. მხოლოდ ამ გუნდის რესპექტაბელობამ გადაარჩინა იგი ლიკვიდაციას. მუსოლინის მთავრობას არ მოეწონა სახელი „ინტერნაციონალე“ და 1930-დან 1945 წლამდე „ინტერს“ ეწოდებოდა „ამბროზიანა“ (მილანის მფარველის — წმინდა ამბროსის პატივსაცემად).

ამჟამად „ინტერნაციონალე“ ჩვეულებრივი პროფესიული საფეხბურთო კლუბია. მისი პრეზიდენტი და მეცენატი მორატი იტალიის ნავთის წარმოების ერთ-ერთი მეფეა. წინდახედული საქმოსანი არ იშურებს ფულს რეკლამისათვის. მან ჯერ კიდევ 1960 წელს მიიწვია გუნდის მწვრთნელად ელენიო ერერა და ისეთ ჯამაგირს უხდის, რაც მსოფლიოს არც ერთი საფეხბურთო გუნდის ხელმძღვანელს არ დაესიზმრება.

ერერას მოსვლის შემდეგ გუნდი მთლიანად გადახალისდა. მაყურებლის რამდენიმე სათაყვანო ფეხბურთელი კლუბიდან დაითხოვეს. მათ ნაცვლად მწვრთნელმა მოთამაშეები მიიწვია, ვისაც კლუბისთვის საჭიროდ თვლიდა. პირველ ხანებში ერერას გაუმართლა. მისი ხელმძღვანელობით „ინტერმა“ ორჯერ მოიპოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი და დაამარცხა სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი — არგენტინის ჩემპიონი „ინდეპენდიენტე“ (ბუენოს-აირესი). გასულ გაზაფხულს „ინტერმა“ თასი დაკარგა და ახლა რევანშისთვის არის განწყობილი.

საბჭოთა გულშემატკივრებს, ალბათ, კარგად ახსოვთ მილანელთა გამოსვლა ჩვენს ქვეყანაში. ეს იყო 1960 წელს. სტუმრებმა პირველი მატჩი დიდი ანგარიშით (1:5) წააგეს მაშინ „ბ“ კლასის გუნდთან — ოდესის „ჩერნომორეცთან“, სსრ კავშირის ნაკრებთან შეხვედრა კი ფრედ დაამთავრეს. ამასთან, ჩვენი ფეხბურთელების პრესტიჟის გადამრჩენი ბურთი გატანილ იქნა მსაჯის საფინალო სასტვენამდე ზუსტად ერთი წუთით ადრე.

„ინტერნაციონალეს“ თავდამსხმელები — ცნობილი ფეხბურთელები მაცოლა და კორსო, აგრეთვე, მარჯვენა გარემარბი, ბრაზილიელი ჟაირი, არიან. შეტევების სული და გულია ესპანელი სუარესი, რომელიც ჩვეულებრივ უკან თამაშობს და ბურთებით ამარაგებს პარტნიორებს.

თავდასხმაში ერთვიან მცველებიც. ეროვნული ნაკრების მოთამაშე ფაკეტი ხშირად უტევს მეტოქის კარს და ეს შეტევები ბევრჯერ გოლითაც დაგვირგვინებულა. იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა სიაში ფაკეტის ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია, თუმცა ინგლისში, მსოფლიო ჩემპიონატზე მას ბურთები არ გაუტანია. ეს იმით აიხსნება, რომ ინგლისში ფაკეტი, რომელიც, ჩვეულებრივ, მარცხენა მცველს თამაშობს, სტოპერად მოგვევლინა, რამაც ერთგვარად შებოჭა მისი შეტევითი მოქმედება. „ტორპედოსთან“ მატჩში მცველი-ბომბარდირი დაიკავებს თავის ჩვეულებრივ ადგილს, და, რასაკვირველია, ყოველ მომენტს გამოიყენებს იერიშისათვის.

ამჟამად ძნელია რაიმე თქვა ერერას გეგმების შესახებ. „ინტერი“ თავისი ჩვეულებრივი ტაქტიკის ერთგული დარჩება: მილანში გუნდი შეეცდება რაც შეიძლება მეტად შეუტიოს მეტოქეთა კარს, რომ მოსკოვში ჩამოსვლისას მარაგში რამდენიმე ბურთი ჰქონდეს. მოწინააღმდეგის მინდორზე იტალიის ჩემპიონი მასირებულ დაცვას მიმართავს და უტევს მხოლოდ მაშინ, როცა ეს ხელსაყრელია და სარისკო ბევრი არაფერი აქვს.

ა. ვასინი.

## ხ ვ ა ლ

მილანში გაიმართება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველი მატჩი ადგილობრივ „ინტერნაციონალესა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შორის.

ტორპედოელები, რომელთა შემადგენლობაში არიან მეკარეები — კავაზაშვილი და შაპოვალენკო, მცველები — ანდრეიუკი, შუსტიკოვი, სარაევი, მარუშკო, უსატორე, ნახევარმცველები — ვორონინი, ლენევი, დენისოვი, ბრედნევი, თავდამსხმელები — შალიმოვი, სტრელცოვი, სერგეევი, ივანოვი, მიხაილოვი, სტაფეროვი და ბოროვიკი, უკვე ჩავიდნენ მილანში.

საკავშირო რადიო აწარმოებს ამ მატჩის რეპორტაჟს. გადაცემა დაიწყება რადიოსადგურ „მაიაკით“ 0 საათსა და 25 წუთზე, ხოლო I პროგრამით 1 საათსა და 30 წუთზე (დრო თბილისისაა).

## რეპრესიები სპორტსმენების წინააღმდეგ

დასავლეთგერმანელი ხელისუფლები და შპორტბუნდის ხელმძღვანელობა მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობის აღშფოთებას უფრთხიან და უკვე აშკარად როდი გამოდიან გფრ-ისა და გდრ-ის სპორტსმენთა შორის მეგობრული კონტაქტების დამყარების წინააღმდეგ. სპორტში ცივი ომის რაინდები ამჟამად მალულად მოქმედებენ. ასეთი მოქმედების ერთ-ერთი მაგალითის შესახებ დაბეჭდა გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ (გდრ).

დასავლეთ გერმანიის პატარა ქალაქ ვალერფანგენის საფეხბურთო კლუბი „დიკ გრიუნ-ვაისი“ ქალაქ კოტბუსის ტურნირში მიიწვიეს. გფრ-ში არსებული წესების თანახმად, კლუბის ხელმძღვანელობამ შპორტბუნდს სთხოვა გამგზავრების ნებართვა. მიიღეს რა მხედველობაში ვალერფანგენის სპორტსმენთა დაჟინებული თხოვნა, შპორტბუნდის ხელმძღვანელებმა უარი ვერ უთხრეს მათ. „დიკ გრიუნ-ვაისის“ ფეხბურთელები კოტბუსში გულთბილად მიიღეს. ისინი კარგი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ შინ. მაგრამ უსიამოვნება დაბრუნებისთანავე დაიწყო. ფეხბურთელები სათითაოდ გამოიძახეს ე. წ. „კონსტიტუციის დაცვის უწყებაში“ და „ძირგამომთხრელ“ მოქმედებაში დაადანაშაულეს. შემდეგ უწყების ჯაშუშებმა ზოგიერთ ფეხბურთელს სამსახურშიც მიაკითხეს და მათი დათხოვნა მოითხოვეს. „დიკ გრიუნ-ვაისის“ კლუბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ბატონმა ბერნდ ნოჰმა განაცხადა:

„ამ ბოლო დღეებში „კონსტიტუციის დაცვის უწყების“ თავდასხმის ობიექტად ვიქეცით. ჩვენ ისევე დაგვკითხავენ ხოლმე, როგორც სამშობლოს მოღალატეებსა და ჯაშუშებს. საწარმოებში, სადაც ჩვენი სპორტსმენები მუშაობენ, ისეთ ჭორებს ავრცელებენ, რასაც მხოლოდ ზიანი მოაქვს ახალგაზრდებისათვის. და ეს ყველაფერი ხდება იმიტომ, რომ ფეხბურთელებმა გდრ-ის სპორტულ ტურნირში მიიღეს მონაწილეობა. განა ეს შეესაბამება ოფიციალურ რწმუნებას, თითქოს გფრ-ს სურს სპორტული კონტაქტები განავითაროს გდრ-თან?“.

## ლაპარაკობს სტენლი როუზი

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ს. როუზმა ვენაში პრეს-კონფერენცია გამართა ჟურნალისტებისათვის. თავის სიტყვაში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჟამად ბევრი სპეციალისტი და სპორტსმენი მოითხოვს მსოფლიო ჩემპიონატის გათამაშების არსებული წესდების გადასინჯვას. „ფიფა-ს აღმასრულებელ კომიტეტს დავავალეთ საქმის კურსში ჩაეყენებინა ყველა ეროვნული ფედერაცია, — თქვა პრეზიდენტმა. — ჩვენ უკვე ხელთ გვაქვს რეფორმის რამდენიმე გეგმა. ერთ-ერთი, მაგალითად, ითვალისწინებს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ შეჯიბრებებში მონაწილეობა უნდა მიიღოს მხოლოდ თორმეტმა გუნდმა. ფინალის მონაწილენი დაიყოფიან ორ ჯგუფად. თითო ჯგუფში 6 კოლექტივი შევა. ბრძოლა წრიული სისტემით ჩატარდება. გამარჯვებულები ერთმანეთს I ადგილისთვის მატჩში შეხვდებიან. III, IV და ა. შ. ადგილების ბედს გადაწყვეტენ ის გუნდები, რომლებიც ჯგუფებში II ადგილს დაიკავებენ.

თუმცა, — აღნიშნა როუზმა, — 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ძველი წესდებით ჩატარდება: ფინალურ ტურნირში ყველა 16 გუნდი ითამაშებს. ეს აუცილებელია, თუ გნებავთ, ფინანსიური თვალსაზრისითაც, რამდენადაც მექსიკელები იმედოვნებენ, რომ ნაკლებად მნიშვნელოვან შეხვედრებსაც კი დიდძალი ხალხი დაესწრება“.

ფიფა-ს პრეზიდენტმა გამოთქვა აზრი, რომ კარგი იქნება გამოინახოს შესაძლებლობა და მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღონ აფრიკისა და აზიის გუნდებმა. როუზმა მხარი დაუჭირა წინადადებას — ჩატარდეს საკვალიფიკაციო თამაშები ევროპის მეორე რანგის ნაკრებ გუნდებსა და აფრიკისა და აზიის ფეხბურთელთა მოწინავე კოლექტივებს შორის. არის, აგრეთვე, იდეა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფარგლებში გაიმართოს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების, ერთის მხრივ, — ესპანეთის, საფრანგეთის, იტალიის, იუგოსლავიისა და ა. შ. და, მეორეს მხრივ, — ალჟირის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ისრაელის და სხვა ქვეყნების ფეხბურთელთა გუნდების ტურნირი.

საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი შეეხო კონფლიქტს, რაც მსოფლიო ჩემპიონატმა ფიფა-სა და ლათინური ამერიკის ფეხბურთელთა კავშირებს შორის შექმნა. „ამ კონფლიქტს იმით ვხსნი, — თქვა როუზმა, — რომ ევროპისა და ლათინური ამერიკის კონტინენტებზე ფეხბურთს სხვადასხვაგვარად თამაშობენ. ევროპული „სტილი“ ძალისმიერია, ტემპით, სწრაფი რეაქციით გამოირჩევა. სამხრეთამერიკელებისათვის კი დამახასიათებელია ბურთის ფლობის უმაღლესი ტექნიკა, არტისტულობა. ისინი საერთოდ არ თამაშობენ კორპუსით. ამიტომ ევროპული წესები რამდენადმე განსხვავდება სამხრეთამერიკულისგან. სწორედ ეს გახლავთ ინციდენტების სათავე.

დასასრულ მინდა აღვნიშნო, — თქვა პრეზიდენტმა, — რომ მიუხედავად მწარე მარცხისა მსოფლიო ჩემპიონატში, ლათინური ამერიკის ყველა საფეხბურთო კავშირი ლოიალობას აცხადებს ფიფა-ს მიმართ“.

## ყოველი მხრიდან

## 10 მილიონამდე...

სპორტული პრესა კვლავ დიდ ადგილს უთმობს ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფივბ) X კონგრესს, რომელიც პრაღაში ჩატარდა.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდნენ 41 ქვეყნის დელეგატები. ეს სარეკორდო რაოდენობაა. ფედერაციის წევრებად მიიღეს ბოლივია, გვიანა და ვირგინიის კუნძულები.

დღეისთვის ფივბ 96 ქვეყანას აერთიანებს. ურუგვაის დელეგაციამ წამოაყენა წინადადება — ფედერაციის წევრები დაიყონ სამ ჯგუფად, სხვადასხვა ქვეყანაში ფრენბურთის განვითარების დონისა და ფრენბურთელთა რაოდენობის მიხედვით. ეს წინადადება ყველა დელეგაციამ უარყო.

მძაფრი დისკუსია გამოიწვია იტალიისა და პერუს წარმომადგენელთა წინადადებამ ოლიმპიური ტურნირისათვის გუნდების შერჩევის შესახებ. მათი აზრით, ტურნირში მხოლოდ 16 ქვეყნის ვაჟთა გუნდებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა. დისკუსიის შემდეგ ეს აზრიც უარყვეს.

კონგრესმა დაამტკიცა ფივბ-ის აღმასრულებელი კომიტეტის წინადადება. ამ წინადადებით, 1968 წელს ქალთა ოლიმპიურ ტურნირში, რომელიც მეხიკოში გაიმართება, ითამაშებენ მექსიკის გუნდი — როგორც ასპარეზობის ორგანიზატორთა კოლექტივი, ტოკიოს ოლიმპიადის 2 საუკეთესო გუნდი (იაპონიისა და სსრ კავშირისა) და მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორები. ვაჟთა ოლიმპიურ ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ მექსიკის ფრენბურთელები, ტოკიოს ოლიმპიადის 2 საუკეთესო კოლექტივი (სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიისა), 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის 2 საუკეთესო გუნდი, ამერიკის ზონის 2 კოლექტივი, ევროპის, აზიისა და აფრიკის თითო გუნდი.

1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზაცია დაევალა ბულგარეთს.

ფედერაციის პრეზიდენტმა პ. ლიბომ გაზეთ „სპორტ-დეპეშეს“ (გფრ) კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „ფრენბურთს მთელს პლანეტაზე თამაშობენ და იგი სულ ახალი და ახალი ქვეყნების წარმომადგენლებს იზიდავს. მსოფლიოში ამჟამად 10 მილიონამდე ფრენბურთელია. ეს დიდი ინტერნაციონალური არმია გახლავთ“.

## „ვიდრე ჯანზე ვარ“

მსოფლიო ჩემპიონმა პროფესიონალ მოკრივეთა შორის მოჰამედ ალიმ (კასიუს კლეიმ) ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი. 19 ნოემბერს იგი ჰიუსტონში (ტეხასი) შეხვდება კლივლენდ უილიამსს. ამერიკული პრესა აღნიშნავს, რომ არც ერთ პროფესიონალ მოკრივეს ამდენი ბრძოლა არ ჩაუტარებია ასე მცირე დროში: უილიამსთან შეხვედრა წლეულს მოჰამედ ალის მეხუთე ბრძოლაა. თან, ბოლო მატჩი დასავლეთგერმანელ კ. მილდენბერგერთან მან სულ ახლახან, 10 სექტემბერს ჩაატარა.

პრესა იუწყება, რომ ალი მიიღებს მატჩის მთელი შემოსავლის 50 პროცენტს, უილიამსი კი — 20-ს. მენაჯერი ე. გილიამი იმედოვნებს, რომ შეხვედრისათვის გაიყიდება 50 ათასი ბილეთი. მათგან ყველაზე იაფი 50 დოლარი ეღირება. ამას გარდა, შეხვედრა ტელევიზიით გადაიცემა ევროპაში თანამგზავრ „ერლი ბიორდით“. მატჩის ორგანიზატორები აქედანაც კარგ მოგებას ელიან.

ხელშეკრულებაში მხოლოდ ფულზე როდია ლაპარაკი. ალი მოითხოვს, რომ შეხვედრის წინ მისმა მეტოქემ სამედიცინო შემოწმება გაიაროს, რათა დოპინგის მიღების შესაძლებლობა მოესპოს. „უილიამსს კარგად ვიცნობ და ვიცი, რა კაციც არის“, — განაცხადა ალიმ. ეს განცხადება შემთხვევითი როდია. ამერიკული ჟურნალი „ბოქს-მეგეზინი“ ადასტურებს, რომ უილიამსი პროფესიული რინგის „ყველაზე ბნელ“ საქმოსნებთან არის დაკავშირებული. წლინახევრის წინათ იგი დაიჭრა პოლიციელებთან შეტაკების დროს და შემდეგ ძლივს დააღწია თავი ციხეს.

რამ აიძულა ალი კონტრაქტი დაედო უილიამსთან? „სანამ ჯანზე ვარ, ვისაც გნებავთ შევებრძოლები იმიტომ, რომ მინდა მშვიდი სიბერე მქონდეს“, — განაცხადა მოჰამედ ალიმ.

ფეხბურთი

# ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

„ლელოს“ საკუთარი ინფორმაცია

## „სანტოსი“ არ შეხვდება „სელტიკს“

შოტლანდიის ჩემპიონატის II ტურში გლაზგოს „სელტიკმა“ დაამარცხა „დანდი“ — 2:1. საინტერესოა, რომ „სელტიკმა“ ადრე მიიპატიჟა ბრაზილიის „სანტოსი“ და ეს ორი გუნდი ერთმანეთს უნდა შეხვედროდა გლაზგოს „ჰემპდენ-პარკის“ მინდორზე 8 ოქტომბერს, მაგრამ შაბათს ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ ნებას არ რთავს „სანტოსს“ შეხვდეს „სელტიკს“. ზოგიერთი კომენტატორის აზრით, ეს უარი გამოწვეულია იმით, რომ საკუთარ მინდორზე „სელტიკის“ დამარცხება ძალიან ძნელი საქმეა და ბრაზილიის ფეხბურთის მესვეურნი, ალბათ, უფრთხილდებიან „სანტოსის“ პრესტიჟს.

განვლილ ტურში გამარჯვება მოიპოვა „გლაზგო რეინჯერსმაც“, რომელმაც დაამარცხა „აბერდინი“ — 3:0. „მადერუელის“ მარცხენა გარემარბმა ბ. კემპბელმა გასვლით მატჩში 5 ბურთი გაიტანა „სენტ-მირენის“ კარში — 5:0.

4 ქულით I ადგილზეა გლაზგოს „სელტიკი“.

## საუკეთესო სნაიპერი — დუგანი

ინგლისის ჩემპიონატის მორიგ ტურში „ლესტერ-სიტიმ“ დიდი ანგარიშით დაამარცხა ბირმინგემის „ასტონ ვილა“ — 5:0. „ლესტერ-სიტის“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა დ. დუგანმა მეორე ტაიმში 3 გოლი გაიტანა და სათავეში ჩაუდგა სნაიპერთა სიას (11 ბურთი). II ადგილზეა მანჩესტერელი დ. ლოუ — 9 გოლი.

ტურის საუკეთესო მატჩად ჟურნალისტებმა „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ბერნლის“ შეხვედრა აღიარეს. „ბერნლიმ“ ჩემპიონატში პირველი დამარცხება განიცადა — 1:4.

გათამაშების ლიდერმა — „ჩელსიმ“ დაამარცხა „არსენალი“ — 3:1.

კვლავ შესანიშნავად თამაშობს ინგლისის ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელი ჯ. გრივსი. შაბათს მისმა გოლმა მორიგი 2 ქულა მოუტანა „ტოტენჰემ ჰოტსპურს“ „ნოტინგემ ფორესტთან“ შეხვედრაში — 2:1.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „ბლეკპული“ — „მანჩესტერ-სიტი“ 0:1, „ლიდს იუნაიტედი“ — „ევერტონი“ 1:1, „ლივერპული“ — „სანდერლენდი“ 2:2, „ნიუკასლ იუნაიტედი“ — „ფულჰემი“ 1:1, „შეფილდ უენსდეი“ — „შეფილდ იუნაიტედი“ 2:2, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ — „სტოკ-სიტი“ 0:1, „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ — „საუთჰემპტონი“ 2:2.

აი, ლიდერთა სამეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ჩელსი“ | 9 | 19:8 | 14 |
| „სტოკ-სიტი“ | 9 | 14:4 | 13 |
| „ტოტენჰემ ჰოტსპ.“ | 9 | 1710 | 13 |

## „ინტერის“ წარმატება

კვირას იტალიის ჩემპიონატის II ტურში მილანის „ინტერნაციონალე“ შეხვდა ვიჩენცას „ლანეროსის“. მილანის „სან-სიროს“ სტადიონზე 45-მა ათასმა მაყურებელმა ნახა საშუალო დონის მატჩი, სადაც მასპინძლებმა სძლიეს სტუმრებს. მე-12 წუთზე კორსოს მიერ დარტყმული ბურთი მილანელთა მარცხენა მცველმა ფაკეტიმ თავით გაგზავნა „ლანეროსის“ კარში — 1:0. 52-ე წუთზე ნახევარმცველ ბედინის გადაცემიდან ჟაირმა მეორე გოლი გაიტანა — 2:0.

„ბოლონიის“ უცხოურმა „ვარსკვლავებმა“ — გერმანელმა ჰალერმა და დანიელმა ნილსენმა მუსრი გაავლეს „ფოჯას“ დაცვას — 5:0.

I ლიგის ახალბედა გუნდი „ვენეცია“ შინ აგებდა „ატალანტასთან“, მაგრამ ვენეციელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა, ახალგაზრდა ფეროჩო მაცოლამ („ინტერის“ თავდამსხმელის, სანდრო მაცოლას უმცროსი ძმა) თავისი გუნდი წაგებას გადაარჩინა — 1:1.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „იუვენტუსი“ — „ლეკო“ 3:0, „მანტოვა“ — „რომა“ 1:0, „ნაპოლი“ — „სპალი“ 1:0, „ლაციო“ — „ტორინო“ 0:0, „ბრეშია“ — „ფიორენტინა“ 0:0, „კალიარი“ — „მილანი“ 0:0.

4-4 ქულით ჩემპიონატს ლიდერობენ „ინტერნაციონალე“, „იუვენტუსი“ და „ნაპოლი“.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 12084